

AI - ხელოვნური ინტელექტი პრაქტიკაში

ლექტორი

გიორგი ბასილაია

კურსის დრო

11 შეხვედრა (22 საათი)

კურსის მიზანი

კურსის მიზანია მსმენელებს მისცეს პრაქტიკული და თანამედროვე ცოდნა გენერატიული ხელოვნური ინტელექტის (AI) შესაძლებლობების შესახებ და ასწავლოს მათ ყოველდღიური სამუშაო ამოცანების სწრაფად, ეფექტურად და კრეატიულად გადაჭრა ისეთი ინსტრუმენტების დახმარებით, როგორიცაა ChatGPT, Claude, Gemini და სხვა.

მონაწილეები შეძლებენ AI-ის ინტეგრირებას საკუთარ პროფესიაში და შექმნიან პერსონალურ AI სამუშაო ნაკადებს (workflow), რაც გაზრდის პროდუქტიულობას და დაზოგავს დროს.

სასწავლო კურსის შინაარსი

ლექცია 1: ხელოვნური ინტელექტი ყოველდღიურ ცხოვრებაში + პირველი ნაბიჯები CHATGPT-ში

- ხელოვნური ინტელექტის მოკლე ისტორია
- ხელოვნური ინტელექტის ყოველდღიური მაგალითები (სოციალური ქსელები, საძიებო სისტემები, რეკომენდაციის სერვისები)
- გენერატიული AI - რა არის და როგორ მუშაობს იგი
- ChatGPT - რა შეუძლია და რისთვის გამოვიყენოთ
- ChatGPT-ზე წვდომა, ინტერფეისი და საბაზისო ფუნქციები
- „Prompt“-ის (მოთხოვნის) განმარტება და გამოყენების მნიშვნელობა
- **პრაქტიკა #1**

ლექცია 2: ეფექტური მოთხოვნების წერა (PROMPT ENGINEERING)

- პრომპტის მნიშვნელობა და მისი გავლენა შედეგზე
- ეფექტური მოთხოვნის სტრუქტურა: ამოცანა - კონტექსტი - ფორმატი
- მაგალითზე დაფუძნებული (Few-shot) და როლზე დაფუძნებული პრომპტები, როდესაც მოდელი იღებს რამდენიმე მაგალითს და მათზე დაყრდნობით პასუხობს ან ასრულებს დავალებას
- **პრაქტიკა #2**

ლექცია 3: კონტენტის შექმნა და რედაქტირება

- ტექსტის გენერაცია სხვადასხვა ფორმატში (წერილები, პოსტები, სტატიები, ანგარიშები)
- ტექსტის რედაქტირება, შეჯამება, ტონის შეცვლა
- ტონისა და სტილის მორგება ადრესატზე
- ტექსტის გამართვა (გრამატიკა, სტრუქტურა)
- აუდიტორიაზე მორგება (ბიზნესი, საჯარო კომუნიკაცია, კრეატივი)

- გრძელი ტექსტის შეჯამება და გადამუშავება
- **პრაქტიკა #3**

ლექცია 4: კრეატიული აზროვნება და იდეების გენერაცია

- იდეების გენერაციის ტექნიკები (ბრეინშტორმინგი, SCAMPER, mind mapping)
- როგორ მივიღოთ ინოვაციური იდეები „რას ვერც ვიფიქრებდი“ კითხვებით
- ალტერნატივების შედარება და პლიუს-მინუსების ანალიზი
- იდეების დაგეგმვა და სტრუქტურირება
- AI-ს გამოყენება გადაწყვეტილების მიღების პროცესში
- AI, როგორც პარტნიორი კრეატიული სესიებისთვის (იდეების გენერატორი და ფასილიტატორი გუნდური განხილვისთვის)
- **პრაქტიკა #4**

ლექცია 5: ინფორმაციის დამუშავება და კვლევა

- ტექსტიდან ძირითადი აზრის ამოღება
- PDF, ცხრილების და დოკუმენტების დამუშავება
- საკვანძო კითხვების ფორმულირება და თემის გაღრმავება
- რთული ინფორმაციის დახარისხება და პასუხების მოძიება
- იდეების გენერაცია კვლევისთვის, საკვანძო კითხვების ფორმულირება და ახალი მიმართულებების აღმოჩენა
- მონაცემების გადამოწმება და სანდოობის შეფასება
- **პრაქტიკა #5**

ლექცია 6: პროფესიული გამოყენება და პერსონალური სცენარების შექმნა

- პროფესიული როლების მიხედვით AI-ს გამოყენების გზები: HR, ფინანსები, მარკეტინგი, ოპერაციები, იურიდიული, განათლება და სხვა
- პროფესიული ამოცანების ოპტიმიზაცია
- პერსონალური მოთხოვნების (prompt) ბიბლიოთეკის შექმნა
- შაბლონების შემუშავება განმეორებადი დავალებებისთვის, ანუ როგორ შეიმუშაოთ შაბლონები ყოველდღიური დავალებებისთვის (მაგ. პასუხი კლიენტებს, შეხვედრის ანგარიშები)
- პროდუქტიულობის გაუმჯობესება AI-ის დახმარებით
- პროფესიული კომუნიკაციის მორგება კონკრეტულ როლზე, როგორ შეიძლება HR-მა, მარკეტერმა ან მენეჯერმა გამოიყენოს AI განსხვავებული ტონით და მიზნებით
- **პრაქტიკა #6**

ლექცია 7: ვიზუალური კონტენტი და პრეზენტაციები

- გამოსახულების გენერაცია ტექსტის საფუძველზე (Midjourney, Canva AI).
- ვიზუალის სტილისა და ხარისხის კონტროლი
- პრეზენტაციის ავტომატური აგება (Gamma)
- დიზაინის და სტრუქტურის ძირითადი პრინციპები
- ვიზუალური და ტექსტური მასალის ინტეგრაცია
- **პრაქტიკა #7**

დამატებითი ინსტრუქციები:

- RunwayML - ტექსტიდან ვიდეო გენერაცია, რედაქტირება, სტილის გარდაქმნა
- Lovable.dev - ლენდინგ გვერდების გენერაცია ტექსტის საფუძველზე
- ElevenLabs - ხმის გენერაცია
- Claude.ai / Claude Code - პროგრამული კოდის და ვებ გვერდების გენერაცია

ლექცია 8: AI ავტომატიზაცია, NO-CODE აგენტები და ინტეგრაცია

- რა არის ავტომატიზაცია და როგორ ამარტივებს სამუშაოს.
- No-Code ხელსაწყოები: Zapier, Make, Notion AI, Microsoft Copilot
- AI ინტეგრაცია: Google Docs, Sheets, PowerPoint, Word, Excel
- მრავალსაფეხურიანი ამოცანების გადაჭრა (prompt chaining) - რთული დავალების შესრულებისთვის ერთზე მეტ ნაბიჯად გაყოფილი შეკითხვების სერია, სადაც თითოეული ნაბიჯი შედეგის ნაწილია
- რეალური workflow-ის მაგალითები
- **პრაქტიკა #8**

ლექცია 9: უსაფრთხოება, ეთიკა და სანდოობა, დამატებითი ხელსაწყოები

- მონაცემთა დაცვა და კონფიდენციალურობა
- დეზინფორმაცია და „AI შეცდომები“
- ფაქტების გადამოწმების მეთოდები
- ეთიკური საკითხები (ავტორობა, პლაგიატი, ბაიასები)
- პასუხისმგებლიანი გამოყენების საუკეთესო პრაქტიკები
- **პრაქტიკა #9**
- **დამატებითი AI ასისტენტები და მათი თავისებურებები - GEMINI, GROK, DeepSeek, Perplexity**

ლექცია 10: CUSTOM AI ASSISTANTS

- რა არის Custom AI Assistant და რატომ არის მნიშვნელოვანი
- განსხვავება ჩვეულებრივ chatbot-სა და custom assistant-ს შორის
- გამოყენების სფეროები: პერსონალური, კორპორატიული, დარგობრივი
- ROI და დროის დაზოგვის მაგალითები
- ძირითადი პლატფორმების მიმოხილვა: OPEN AI Custom GPTs, Claude Projects & Artifacts, Character.ai (სპეციალიზირებული), Poe.com (მრავალმოდულიანი)
- არქიტექტურა და კომპონენტები: System Prompts, Knowledge Base (დოკუმენტების ატვირთვა), Actions/Tools (გარე ინტეგრაციები), Conversation Starters (UX ოპტიმიზაცია), Response Guidelines (ტონი და სტილი)
- **პრაქტიკა #10**

ლექცია 11: ფინალური პროექტები და მომავლის უნარები

- AI Playbook-ის შედგენა - მოთხოვნების, ხელსაწყოების და ნაკადების გაერთიანება
- მომავლის ტენდენციები და თვითგანვითარების გზები
- დამატებითი ხელსაწყოები და მათი გამოყენების სფეროები: Suno, Teal, Guru, Cursor, Rytr, NotebookLM, Fathom
- მონაწილეთა პროექტების პრეზენტაცია (პირადი AI ინსტრუმენტი / Workflow / პრეზენტაცია)

- კურსის შეჯამება უკუკავშირი და დასკვნები

სასწავლო კურსის შედეგები

კურსის მსმენელები შეძლებენ:

1. ბაზისური ცოდნა და პირველი ნაბიჯები

- ახსნას რა არის გენერატიული ხელოვნური ინტელექტი და როგორ გამოიყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში;
- გამოიყენოს ChatGPT-ს ძირითადი ფუნქციები ყოველდღიური ამოცანებისთვის (წერილი, იდეა, ტექსტის ფორმულირება).

2. ეფექტური მოთხოვნების (Prompt-ების) გამოყენება

- ჩამოაყალიბოს ეფექტური პრომპტი, სადაც სწორადაა განსაზღვრული ამოცანა, კონტექსტი და სასურველი ფორმატი;
- განასხვავოს სხვადასხვა სტილის პრომპტები (მაგ. მაგალითზე დაფუძნებული, როლზე დაფუძნებული) და შეაფასოს მათი შედეგები.

3. ტექსტის გენერაცია და რედაქტირება

- შექმნას და შეცვალოს ტექსტი სხვადასხვა ფორმატში (სტატია, პოსტი, ანგარიში);
- ტექსტი მოარგოს სხვადასხვა აუდიტორიას და შეაჯამოს;
- გამოიყენოს AI გრამატიკისა და სტრუქტურის გამართვისთვის.

4. კრეატიული იდეების გენერაცია

- გამოიყენოს AI ბრენშტორმინგისა და ახალი იდეების მოსაზიდა;
- შეადაროს ალტერნატივები და არგუმენტირებული გადაწყვეტილება მიიღოს;
- დაგეგმოს და წარმოადგინოს ახალი პროდუქტის ან პრობლემის კრეატიული გადაწყვეტის იდეა.

5. ინფორმაციის დამუშავება და კვლევა

- ამოიღოს ძირითადი აზრი დოკუმენტიდან ან ტექსტიდან;
- შეადგინოს მოკლე ანგარიში და გააკეთოს შედარებითი ანალიზი;
- შეაფასოს წყაროს სანდოობა და საჭიროების შემთხვევაში გადაამოწმოს ფაქტები.

6. პროფესიული გამოყენება

- მოარგოს AI საკუთარი პროფესიული როლის ამოცანებს (HR, მარკეტინგი, განათლება, ფინანსები და სხვ.);

- შექმნას 1 პერსონალური პროფესიული workflow და განავითაროს მცირე პრომპტების ბიბლიოთეკა ყოველდღიური დავალებებისთვის;

7. ვიზუალური კონტენტი და პრეზენტაციები

- შექმნას სურათი ან პრეზენტაცია AI ინსტრუმენტების დახმარებით (მაგ. Midjourney, Gamma);
- ინტეგრიროს ტექსტი და ვიზუალი ერთიან პრეზენტაციაში;
- საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი ხელსაწყოები (RunwayML, Voice AI).

8. ავტომატიზაცია და No-Code ინსტრუმენტები

- მოაწყოს მარტივი ავტომატიზაცია No-Code პლატფორმით (მაგ. Zapier ან Make);
- დააკავშიროს ორი ან მეტი აპლიკაცია workflow-ში.

9. უსაფრთხოება და ეთიკა

- შეაფასოს AI-ის პასუხის სიზუსტე და შეამციროს დეზინფორმაციის რისკი.
- დაიცვას კონფიდენციალურობისა და მონაცემთა დაცვის ძირითადი წესები;
- გაითვალისწინოს ეთიკური საკითხები (ავტორობა, ბაიასები, პლაგიატი).

10. Custom AI Assistant-ები

- გაიგებს რა არის Custom AI Assistant, როგორ განსხვავდება ჩეთბოტისგან და სად შეიძლება მისი გამოყენება;
- შეძლებს აირჩიოს პლატფორმა და თავად შექმნას მარტივი ასისტენტი ძირითადი ფუნქციებით.

11. საკუთარი AI ზე დაფუძნებული პროექტის წარდგენა

- გამოიყენოს არსებული პლატფორმები (მაგ. Custom GPTs ან Claude Projects) მარტივი ასისტენტის შესაქმნელად;
- დაამატოს საბაზისო ცოდნის ბაზა (Knowledge Base) და გატესტოს მისი ფუნქციონირება.

ლექტორის შესახებ

- გიორგი ბასილაია 25 წელზე მეტია ტექნოლოგიების სფეროში მუშაობს და ამ პერიოდში გაიარა გზა მკვლევრიდან უნივერსიტეტის პროფესორამდე და დამწყები ტექნიკოსიდან IT დეპარტამენტის ხელმძღვანელამდე;
- გიორგის გამოცდილება აერთიანებს როგორც აკადემიურ საქმიანობას, ისე პრაქტიკულ მენეჯერულ მუშაობას თანამედროვე ტექნოლოგიებთან. წლების განმავლობაში ის თანამშრომლობდა ისეთ გლობალურ კომპანიებთან, როგორიცაა Google, Microsoft, Amazon, IBM, Dell, HP-Enterprise, VMWare და სხვა;

- მისი საქმიანობის მიმართულებებია:
 - ხელოვნური ინტელექტის გამოყენება რეალურ ამოცანებში და პროფესიულ სფეროებში;
 - კიბერუსაფრთხოება და ინფორმაციული სისტემების დაცვა;
 - No-Code და ავტომატიზაციის ინსტრუმენტები, რომლებიც ამარტივებს ყოველდღიურ სამუშაო პროცესებს;
 - განათლების ინოვაციური მეთოდების დანერგვა.
- გიორგი არის:
 - 14 სამეცნიერო სტატიის ავტორი საერთაშორისო ჟურნალებში (3388 ციტირებით Google Scholar-ის მიხედვით);
 - 10 საერთაშორისო კონფერენციის მომხსენებელი;
 - 18 საერთაშორისო კვლევითი პროექტისა და გრანტის მონაწილე ან ხელმძღვანელი (NATO, USAID, ERASMUS და სხვ.).
- მისი სწავლების სტილი დაფუძნებულია პრაქტიკაზე - ყოველი თეორიული თემის შემდეგ სტუდენტები მუშაობენ რეალურ ამოცანებზე. ეს მიდგომა კურსს აქცევს არა მხოლოდ ინფორმაციულს, არამედ პრაქტიკულ გზამკვლევად, რომელიც აუდიტორიას ეხმარება AI-ის ინტეგრირებაში საკუთარ სამუშაოსა და ყოველდღიურ ცხოვრებაში.